ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №/54/Თ

ქ. თბილისი „14“ „ 08 “ 2014 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი“, მინისტრის მოადგილის დავით ლომიძის სახით, და მეორე მხრივ, შ.პ.ს. „დისქოვერ ავტო სერვისი“ შემდგომში „მიმწოდებელი“ დირექტორის ბადრი გრძელიშვილის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი და საერთო ღირებულება

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2014 წლის ასიგნებების ფარგლებში, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, "ავტოსატრანსპორტო საშუალებების წლოვანების ან/და გარანტიის პირობების დადგენის შესახებ, რომელთა ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვების საშუალებით" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების საფუძველზე, ავტოტექმომსახურების შესყიდვაზე (კლასიფიკატორის კოდი 50112000) და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება არაუმეტეს 85 (ოთხმოცდახუთი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. სამინისტროს კუთვნილი ავტომანქანის "VW PASSAT" სახელმწიფო ნომრით **MOH-002** (WVWZZZ3CZCP053348 , გამოშვების წელი – 2012 წ.) ავტოტექმომსახურება

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1 ვადები: მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 20 აგვისტომდე;

4.2 ადგილი: მომსახურების გაწევა განხორციელდება მიმწოდებლის მისამართზე: ქ. თბილისი შეშელიძის ქ. №19

4.3. ტექმომსახურების ჩატარების წესი:

4.3.1 ავტომანქანის ტექნიკური მომსახურება ტარდება მხარეთა მიერ შედგენილი და შეთანხმებული დეფექტური აქტის (დანართი №2) და შეკვეთის (შეთანხმების ოქმი-დანართი №3) საფუძველზე;

4.3.2 ავტომანქანაზე გაწეულ მომსახურებაზე მხარეები ადგენენ გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტს (დანართი №4), რომელშიც მითითებული უნდა იყოს გაწეული მომსახურების დეტალური აღწერა, გამოყენებული სათადარიგო ნაწილების, საცხებ-საპოხი მასალების რაოდენობა, ერთეულის და საერთო ღირებულება;

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ, წინამდებარე ხელშეკრულების მე-15 მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი №1) სამ ეგზემპლარად.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება;

6.2 გაწეული მომსახურების ანაზღაურება იწარმოებს, მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა (დანართი №1) და „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტების საფუძველზე.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1 წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად განახორციელოს „შემსყიდველის“ ხარისხიანი და გარანტირებული მომსახურება;

7.1.2 უზრუნველყოს დეფექტურ აქტში მითითებული სამუშაოების ჩატარება ოპერატიულად, „შემსყიდველის“ მიმართვისთანავე;

7.1.3 მომსახურების ან სათადარიგო ნაწილის წუნის აღმოჩენისთანავე უზრუნველყოს მომსახურების ხელახალი გაწევა და სათადარიგო ნაწილის გამოცვლა უფასოდ საგარანტიო პერიოდის განმავლობაში;

7.1.4 დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან და ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლებები

8.1 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1 მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების მიხედვით.

8.2 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს გაწეული მომსახურების კონტროლი;

8.2.2 აწარმოოს შესრულებული სამუშაოს ფინანსური და ორგანიზაციული მონიტორინგი;

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ.

10.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოქმნება ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს ავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ხუთი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით

13.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევებში.

14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებიტ განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15 ინსპექტირების პირობები

15.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორი – სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ზაალ კაკაბაძე.

16 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

16.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა ვანისაზღვრება 2014 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით.

17 დასკვნითი პირობები

17.1 ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (-- გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი – „შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და	შ.პ.ს. „დისქოვერ ავტო სერვისი""
სოციალური დაცვის სამინისტრო	ქ. თბილისი შეშელიძის ქ. №19
თბილისი, წერეთლის გამზ. №144	სს "თიბისი ბანკი"
ფინანსა სამინისტროს სახაზინო სამსახური	კოდი № TBCBGE22
საიდენტიფიკაციო ნომერი 211339957	ა/ა №GE24TB7689136020100001
	ს/კ 200276842
_____	_____
დავით ლომაძე	ბადრი გრძელიშვილი
მინისტრის მოადგილე	დირექტორი

ვიზა: ი. ბიბილაშვილი

გ. კაკუშაძე

ი. აბრამიშვილი

ი. ქიტიაშვილი

ა. თორია

ზ. კაკაბაძე

შემსრ: ლ. სარია

დანართი 1

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროს აპარატის ხარჯებისათვის
გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში გაწეული მომსახურების
მიღება – ჩაბარების

ა ქ ტ ი

ქ. თბილისი „ —— “ ———— 2014 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, შემსყიდველი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ბატონი ----------

და, მეორე მხრივ, მომწოდებელი:

(ორგანიზაციის დასახელება)

(ხელმძღვანელის თანამდებობა; სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ:

2014 წლის „ “ „ “ № ხელშეკრულების პირობით

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

---------- თვეში გაწეული მომსახურების ღირებულებამ

(თვის დასახელება)

შეადგინა

(თანხა – ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით შესრულებულია

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

შესრულებული სამუშაოს ღირებულება, ანაზღაურებულია ----------

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მომსახურება მიიღო	მომსახურება ჩააბარა
1. ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი	1. ხელმძღვანელი
2. პასუხისმგებელი შემსრულებელი	2. მთავარი ბუღალტერი
ბ. ა.	ბ. ა.

დანართი №2

დეფექტური აქტი №

ქ. თბილისი

—— ———— 2014

შემსყიდველი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო,

მიმწოდებელი: _____ დირექტორი _____
(ორგანიზაციის დასახელება)

ერთის მხრივ შემსყიდველი და მეორეს მხრივ მიმწოდებელი, ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ თანახმად 2014 წლის —— ———— №—— ხელშეკრულებისა შესასრულებელია შემდეგი მოცულობის სამუშაოები

ავტომანქანა						
ავტომანქანის მარკა	სახ. №	ტექნიკური პასპორტი	ძრავის № (საიდენტიფიკაციო №)	ძარის №	შასის №	გამოშვების წელი

სამუშაოების სახეობა და მოცულობა

#	სამუშაოების და სათადარიგო ნაწილების დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება

შემსყიდველი	მიმწოდებელი
_____	_____
დეპარტამენტის, სამსახურის წარმომადგენელი	მძღოლი
————/————	————/————

დანართი №3

მიღება-ჩაბარების შუალედური აქტი №
ავტომანქანის შეკეთებაზე

ქ. თბილისი

--- ---------- 2014

შემსყიდველი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო,

მიმწოდებელი: _____ დირექტორი _____
(ორგანიზაციის დასახელება)

ერთის მხრივ შემსყიდველი და მეორეს მხრივ მიმწოდებელი, ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ თანახმად 2014 წლის 00 ---------- № შეთანხმების ოქმისა შემსრულებელმა შეასრულა, დამკვეთმა კი მიიღო ამ აქტში დასახელებული მომსახურება

ავტომანქანა						
ავტომანქანის მარკა	სახ. №	ტექნიკური პასპორტი	ძრავის № (საიდენტიფიკაციო №)	ძარის №	შასის №	გამოშვების წელი

სამუშაოების სახეობა და მოცულობა

#	სამუშაოების და სათადარიგო ნაწილების დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება

შეთანხმების ოქმი №------

დანართი №4

ავტომანქანა

სახ №

#	სათადარიგო ნაწილების, საცხებ-საპოხი მასალების და მომსახურების ჩამონათვალი	ფასი დ.დ.გ.-ს გარეშე	ფასი დ.დ.გ.-ს ჩათვლით	საგარანტიო ვადა

<u>შენიშვნა:</u> სათადარიგო ნაწილების, საცხებ-საპოხი მასალების საბაზრო ფასებთან მიმართებაში და გასაწევი მომსახურებების რეალობაზე პასუხისმგებელია წინამდებარე შეთანხმების ოქმზე ხელისმომწერი სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი და "პასუხისმგებელი პირი"

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი

დეპარტამენტის უფროსი _____

დირექტორი _____

მატერიალური უზრუნველყოფის
სამმართველოს უფროსი _____

პასუხისმგებელი
პირი _____

პასუხისმგებელი პირი _____

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

„14“ „08“ 2014 წ. თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ რომ, შ.პ.ს. „დისქოვერ ავტო სერვისი“-ს მიმართ, სრულად ვაკმაყოფილებთ “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

დ. ლომიძე

ი. ბიბილაშვილი

გ. კაკუშაძე

ზ. კაკაბაძე

ი. აბრამიშვილი

ლ. სარია